

მ. სოფორიშვილი



03160 ქართული სახელმწიფო იურიდიკული სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ი ბ ზ მ რ ი ს ბ რ ძ პ პ პ

№12/01-01

27.02.2008

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულებისა
და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლიდან
გამომდინარე,

ვ ბ რ ძ პ პ პ:

1. დამტკიცდეს ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა თანახმად №1; №2 დანართებისა.
2. დაევალოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის დეკანის მოგალეობის შემსრულებელს (რ. ბოჭორიშვილი) წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო დონისძიებების გატარება.
3. კონტროლი ბრძანების შესარულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავას.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

საქართველოს უნივერსიტეტის
FOR ORDERS

გ. ხუბუა

დანართი №1

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

2008 წლის „27“ 02

№12/01-01 ბრძანებით

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება

1. ზოგადი საკითხები:

- 1.1. დაწესდეს ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც სპეციალიზირდებიან:
 - ა) ალბათობის ორორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში;
 - ბ) ფართოდ გაგებულ წრფივ (ფუნქციონალურ) ანალიზში;
 - გ) ორორიულ ფიზიკაში;
- 1.2. სტიპენდია ინიშნება ველინგტონის Victoria University's პროფესორის, ესტატე ხმალაძის ინიციატივით.
- 1.3. ინიშნება მინიმუმ ერთი სტიპენდია, მინიმუმ სამი წლის განმავლობაში. თითოეულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია მინიმუმ 1 წლის ვადით. სტიპენდიანტებს მიეცემათ უფლება ხელახლა წარადგინონ საბუთები ახალი ვადით სტიპენდიის მიღებაზე.
- 1.4. სტიპენდიის ფუნქციონირებისათვის თანხების უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებს პროფ. ესტატე ხმალაძე, მასვე ენიჭება სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის დაკომპლექტებისა და მასში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის დასმის უფლებამოსილება.

2. სტიპენდიის მინიჭების წესი და კრიტერიუმები:

- 2.1. სტიპენდია ეძლევა განსაკუთრებული ნიჭის და სიბეჯითის მქონე სტუდენტს. მაღალი აკადემიური მოსწრება აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ შეიძლება არ იყოს ერთადაერთი გადამწყვეტი ფაქტორი.
- 2.2. სტიპენდიანტი უნდა იყოს ზოგადად განათლებული პიროვნება, დაინტერესებული მსოფლიო ლიტერატურით და ხელოვნებით, მიზანსწრაფული და თვითმოტივირებული ადამიანი.
- 2.3. სტიპენდია უნდა მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.
- 2.4 იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა, იმ წლის სტიპენდია არ გაიცემა.
- 2.5 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია ადგენს საუკეთესო კანდიდატების მოკლე სიას (1-3 კაცი). საბოლოო გადაწყვეტილებას კომისია იღებს პირადი გასაუბრების შედეგად;

3. სტიპენდიის მაძიებელი სტუდენტის მიერ წარმოსაღებ დოკუმენტთა ნუსხა:

- სტიპენდიის მაძიებელმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:
- 3.1 განცხადება
 - 3.2 CV
 - 3.3 აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი
 - 3.4 პროფესორის სარეკომენდაციო წერილი

4. სტიპენდიის გაცემის პროცედურა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს:

- 4.1 სტიპენდიის შესახებ სტუდენტების ინფორმირებას
- 4.2 კანდიდატთა განცხადების მიღებას
- 4.3 მიღებული განცხადებების სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიისათვის გადაცემას